საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/230 “ 14 ” დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გ. კუპრეიშვილის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, გოგა კუპრეიშვილი 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში გოგა კუპრეიშვილის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (რ. ნადარაია; ვ. მშვენიერაძე; ი. ბონდარენკო) და სამი არამოსამართლე (ა. დოლიძე; ზ. ხარებავა; ლ. გზირიშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ხუთი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთი წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე გოგა კუპრეიშვილის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 497 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 82.8%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (საბჭოს სრული შემადგენლობის მხარდაჭერით) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გოგა კუპრეიშვილი 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე